



ადამიანის უფლებათა საბჭოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომა

3 ივნისი, 2020 წელი

შეხვედრის ოქმი¹

შეხვედრის თავმჯდომარე: ლელა აქიაშვილი, პრემიერ მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე

კომისიის სხდომის მდივანი: გიორგი ბედოძე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს სპეციალისტი

გადაწყვეტილებები/შემდგომი ნაბიჯები:

- i. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების შესახებ დოკუმენტის დასრულებისთვის კოორდინირებული მუშაობის გაგრძელება;
- ii. თავშესაფრის შემდგომი პროგრამების დანერგვაზე მუშაობა ძალადობა გამოვლილი ადამიანების ეკონომიკური გაძლიერებისთვის;
- iii. ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და მავნე პრაქტიკების ეფექტიანი აღმოფხვრის ხელშესაწყობად უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმის შემუშავება სახელმწიფო უწყებებს შორის ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილების მიზნით. კომისიის წევრები, ასევე, შეთანხმდნენ, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საკითხები შესაბამისი მიზნებისა თუ ამოცანების სახით აისახება ადამიანის უფლებათა ახალ სამოქმედო გეგმაში.
- iv. სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმების საჯარო უწყებებში დანერგვაზე მუშაობის გაგრძელება.
- v. სექსუალურ შევიწროების თემაზე საჯარო სექტორში კვლევის ჩატარება.

დანართები:

დანართი N1. დღის წესრიგი

¹ სხდომა ჩატარდა ნაწილობრივ დისტანციურად, Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა პრემიერ მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, **ლელა აქიაშვილმა**. მან მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილე კომისიის წევრებს, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს და განმარტა, რომ მათი ჩართულობა უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა საბჭოსა და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის მუშაობაში. თავმჯდომარემ წარადგინა სხდომის დღის წესრიგი და განმარტა, რომ სხდომის უშუალო თემატიკა შეეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურები, თავშესაფრის შემდგომი პროგრამები ძალადობა გამოვლილი ადამიანების ეკონომიკური გაძლიერებისთვის, სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმების დანერგვა საჯარო უწყებებში და ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და სხვა მავნე პრაქტიკების აღმოფხვრა. დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ კი მან სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სიტყვა გადაეცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ **თამილა ბარკალაიას**, რომელმაც ისაუბრა მის უწყებაში ზოგადი გენდერული პოლიტიკის გაუმჯობესების გზებზე და გამოხატა მზაობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სერვისების განვითარების მიმართულებით. მანვე განმარტა, რომ უწყებათაშორისი კოორდინაციის სისტემატიზაციისთვის აუცილებელია რეფერირების დოკუმენტის შექმნა, რომელზეც მუშაობა უკვე მიმდინარეობს, ასეთი დოკუმენტის შექმნის გამოცდილება კი მის უწყებას აქვს ბავშვთა რეფერირების მექანიზმის სახით. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრა უმნიშვნელოვანესია კოორდინაციის მიღწევისთვის სხვადასხვა ინსტიტუციების საქმიანობებს შორის.

ლელა აქიაშვილმა სხდომა მიმდინარე საკითხების მოკლე მიმოხილვით განაგრძო და განმარტა, რომ აღნიშნული სხდომა 2020 წელს არის რიგით მეორე, ხოლო პირველი სრულად მიემდგნა კოვიდ-19-ის კრიზისის დროს გამოვლენილ პრობლემებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ იწყება დამოუკიდებელი კვლევის განხორციელება იმ ღონისძიებების შეფასებისათვის, რაც სახელმწიფომ გაატარა კოვიდ-19-ის წინააღმდეგ საბრძოლველად და მასში დიდი ნაწილი ადამიანის უფლებებს დაეთმობა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოები, როგორებიცაა UNDP, UN WOMEN და UNFPA კვლევას ჩაატარებენ გენდერული თანასწორობის სფეროში განხორციელებული აქტივობების შეფასების მიმართულებით. ასევე აღნიშნა, რომ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის კონვენციის (CEDAW) ანგარიში დასრულების პროცესშია და კომისია ასევე მუშაობს სტამბოლის კონვენციის

(ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის კონვენციის) აღსრულების შეფასების ანგარიშის მომზადებისთვის GREVIO-ს კომიტეტისთვის წარსადგენად. საქართველოს პარლამენტს მიმდინარე წელს წარედგინა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, ასევე ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს რეზოლუციების აღსრულების შესახებ სამთავრობო ანგარიშები. მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ადამიანის უფლებების ახალ ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობა, რომელიც მიმდინარე წელს დასრულდება და წარედგინება მომდევნო, მეათე მოწვევის პარლამენტს, რის შემდგომაც დაიწყება კონკრეტულ სამოქმედო გეგმებზე მუშაობა. ასევე დაწყებულია უკვე არსებული სამოქმედო გეგმების შეფასება საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, იმ მიზნით, რომ ახალი გეგმები იყოს კიდევ უფრო მეტად პროდუქტიული და შედეგზე ორიენტირებული. მან განმარტა, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის კოორდინაციას და ამისთვის ჩატარდა კონკრეტული შეხვედრები რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და გენდერზე პასუხისმგებელ პირებთან, ასევე იგეგმება ფართომასშტაბიანი ფორუმების ორგანიზებაც. ლელა აქიაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ცნობიერების ამაღლების კამპანიებზე და აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მზადება 16 დღიანი კამპანიისთვის, ისევე როგორც სხვა ღონისძიებებისთვის. გარდა ამისა, მან ისაუბრა დაგეგმილ ვირტუალურ ვიზიტზე ევროკავშირის ქვეყნებთან, რათა საქართველომ მიიღოს ინფორმაცია და გაუზიაროს გამოცდილება მათ გენდერული თანასწორობის მიმართულებით მიღწეული პროგრესისა და გამოწვევებზე. ბოლოს კი ყურადღება გაამახვილა უწყებებთან ერთად უკვე განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე რეაგირების ეფექტიანობის ზრდას.

გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენელმა, ქალბატონმა **ნუცი ოდიშარიამ** ისაუბრა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფორმების პროცედურების შესახებ დოკუმენტის თაობაზე, რომელზეც მუშაობა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისმა კომისიამ 2017 წელს დაიწყო. მან აღნიშნა, რომ გაეროს მოსახლეობის ფონდისა და გაეროს სხვა ორგანიზაციების ხელშეწყობით მომავალი ორი წლის განმავლობაში ეს პროცესი დასრულდება. დოკუმენტის პირველი შესწორებული ვერსია უკვე გადაეგზავნათ დაინტერესებულ მხარეებს, ასევე წარედგინა აღნიშნულ კომისიას. მან აღნიშნა, რომ განხილვები დოკუმენტზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში მალე დაიწყება და დოკუმენტზე მუშაობა დიდი ალბათობით წლის ბოლომდე დასრულდება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა **ეკატერინე დგებუაძემ** განაგრძო დისკუსია და აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებული მიმართულებით განსახორციელებელია

სერიოზული სამუშაოები, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მუშაობის შესახებ მისმა უწყებამ მოამზადა ერთგვარი ხედვის დოკუმენტი და უკვე მიმდინარე წელს 50 სოციალური მუშაკის აყვანა მოხდება განათლების სისტემაში, მათი რაოდენობა კი გაიზრდება ყოველწლიურად. ისინი, მათ შორის, ოჯახური ძალადობის საკითხებზე იმუშავენ. მოცემულ ეტაპზე, მისი თქმით, მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების განაწილება სოციალური მუშაკებისთვის. ყველაზე რთული აღმოჩნდა რეფერირებისთვის სწორი მომენტის განსაზღვრა, ანუ როდის უნდა გადამისამართდეს კონკრეტული საქმე სხვა უწყებაში, მაგალითად შინაგან საქმეთა სამინისტროში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში და სხვა. მისი მოსაზრებით, ამ საკითხის ხელახალი განხილვა ხელშემწყობი იქნებოდა ზემოხსენებული რეფერირების დოკუმენტის შემუშავების პროცესის გამართულობისთვის.

ლელა აქიაშვილმა კომისიის წევრებს შემდგომი განსახილველი საკითხი გააცნო და ისაუბრა თავშესაფრის შემდგომი პროგრამების შესახებ ძალადობა გამოვლილი ადამიანების ეკონომიკური გაძლიერებისთვის. მან აღნიშნა, რომ იგეგმება სპეციალური პროგრამების შემუშავება, ხოლო ამისთვის, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილესთან და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ხელმძღვანელთან ერთად იმყოფებოდა თავშესაფრებში, რათა ადგილზე მომხდარიყო პრობლემათა იდენტიფიცირება. მან ასევე გამოყო დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს როლი ძალადობაგამოვლილი ადამიანების დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით.

თამილა ბარკალაიამ ყურადღება გაამახვილა მისი უწყების ფარგლებში მომუშავე დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს შესახებ და აღნიშნა, რომ მას ეკისრება მნიშვნელოვანი როლი ძალადობაგამოვლილი ადამიანების ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საქმეში. აღნიშნა, რომ პანდემიის პირობებში სააგენტო კონცენტრირებული იყო კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ანტიკრიზისული გეგმის განხორციელებაზე, კერძოდ უმუშევრად დარჩენილი ადამიანების დახმარებაზე, თვითდასაქმებულების დახმარებაზე და სხვა. თუმცა ეტაპობრივად იწყება გრძელვადიანი მხარდაჭერის სერვისების მიწოდებაზე მუშაობა, მათ შორის პროფესიული განათლების შეთავაზება, გადამზადება, ხელფასის სუბსიდირება, სტაჟირების პროგრამების განხორციელება მოწყვლადი ჯგუფებისთვის და სხვა.

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **მერი მაღლაფერიძემ** ისაუბრა მის სააგენტოში არსებული ვითარების შესახებ და აღნიშნა, რომ თავშესაფრის შემდგომი პროცედურებისა და დახმარების პროგრამების შექმნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მის სააგენტოში დაგროვილია საკმარისი გამოცდილება იმის შესახებ, თუ როდის უნდა მოხდეს მსხვერპლთათვის დასაქმების შეთავაზება, ეკონომიკური დამოუკიდებლობის ინსტრუქციული სახელმძღვანელოს გაცნობა და ეკონომიკური გაძლიერების სხვა

პროგრამების წარდგენა. აღნიშნა, რომ თავშესაფარი უნდა იყოს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ფუნქციის მატარებელი, ხოლო სხვა საკითხების მოგვარებაში სხვა უწყებებიც უნდა ჩაერთონ.

ლელა აქიაშვილმა ყურადღება გაამახვილა ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და სხვა მავნე პრაქტიკების აღმოფხვრის საკითხზე და აღნიშნა, რომ უწყებათაშორის სამოქმედო გეგმაზე მუშაობა ამ მიმართულებით უკვე მიდმინარეობს. მან სიტყვა გადასცა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ **ნინო ცაციაშვილს**, რომელმაც აღნიშნა, რომ ისეთი კომპლექსური პრობლემის მოსაგვარებლად, როგორცაა ადრეულ ასაკში ქორწინება, უაღრესად აუცილებელია უწყებების კოორდინირებული მუშაობა; მან ასევე განმარტა, რომ დამოუკიდებლად ვერცერთი უწყება ვერ გაუმკლავდება ეროვნულ დონეზე ამ საკითხს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს რომელ უწყებას რა როლი და ფუნქცია ეკისრება. მან ასევე ისაუბრა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის 1 სექტემბრიდან ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების საკითხზე და აღნიშნა, რომ ეს ელექტრონული მონიტორინგის მექანიზმი შემაკავებელი ორდერების ეფექტიანობას გაზრდის. არასრულწლოვანთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მიმართ პრევენციული ღონისძიებების გატარება და მათზე მყისიერი რეაგირება სამინისტროსთვის წარმოადგენს პრიორიტეტს. მისი აზრით, აღნიშნული დანაშაულების ყველაზე დიდი ხელშემწყობი საზოგადოებაში ცნობიერების ნაკლებობაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ადამიანის უფლებების დეპარტამენტი არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებს ყოველდღიურად უწევს მონიტორინგს. აღნიშნული დანაშაულების ანალიზი და რეკომენდაციების გაწერა მისი ერთ-ერთი ღირებული ფუნქციაა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2019 წელს წარმართა კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“. რომლის გაგრძელება იგეგმება სხვა უწყებებთან თანამშრომლობით მომავალშიც. მან აღნიშნა, რომ კვლევების მიხედვით, ბავშვობის ასაკში ქორწინება და სხვა მავნე პრაქტიკები არ ხდება მხოლოდ ქვეყნის რომელიმე ერთ თემში ან ერთი, რომელიმე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებში, იგი დამახასიათებელია საზოგადოებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით.

გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენელმა, **მარიამ ბანძელაძემ** აღნიშნა, რომ მისი ორგანიზაცია უწყებებს ეხმარება შექმნან ბავშვობის ასაკში ქორწინების აღმოფხვრის სამოქმედო გეგმა, რომელიც უწყებებს დაეხმარება კოორდინირებულად იმოქმედონ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად. ვინაიდან საკითხი კომპლექსურია, საჭიროა ურთიერთთანამშრომლობა. მან აღნიშნა, რომ გეგმა ეფუძნება აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული გამოწვევების ანალიზს, რომელიც, თავის მხრივ, მომზადდა კვლევებზე დაფუძნებით. გამოწვევებს შორის გამოიკვეთა დანაშაულის დროული გამოვლენის, ცნობიერების ამაღლების, კოორდინირების, ენობრივი ბარიერის და სხვა საკითხები. მისი განმარტებით, დოკუმენტის სამუშაო ვერსია მზადაა, მოგვიანებით კი დაიწყება თითოეულ უწყებასთან ცალკეული კონსულტაციები მისი დახვეწის მიმართულებით. სამი ძირითადი

მიმართულება, რომელიც გათვალისწინებულია გეგმაში მოიცავს: პრევენციას, ეფექტიან რეაგირებას, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმებს.

ლელა აქიაშვილმა კომისიის წევრებს ბოლო განსახილველი საკითხი გააცნო და განმარტა, რომ სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმების დანერგვა პრიორიტეტული საკითხია კომისიისათვის: ვინაიდან კანონით ეს საკითხი უკვე რეგულირდება, საჯარო სივრცეში მისი გამოვლენის შემთხვევაში რეაგირებაზე პასუხისმგებელ უწყებად განისაზღვრა შინაგან საქმეთა სამინისტრო ხოლო, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სახალხო დამცველი და სასამართლო. საჯარო უწყებებში მსგავსი სექსუალური შევიწროების მექანიზმის დანერგვა განსაკუთრებული მიღწევა იქნება და, ცხადია, ეს განგრძობადი პროცესია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველა უწყებაში უშუალოდ ამ უწყებაზე მორგებული სექსუალური შევიწროების მექანიზმის მოდელები დაინერგება.

საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **ეკატერინე ქარდავამ** ყურადღება გაამახვილა საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობაზე. მან აღნიშნა, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, დაწყებულია კვლევა, რომლის სპეციფიკური კითხვარები დაეგზავნება საჯარო უწყებების ადამიანური რესურსების დეპარტამენტებს და უწყებების წარმომადგენლებს სთხოვა მათი შევსება და მონაწილეობა კვლევის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ასევე განახორციელა გენდერული აუდიტი საჯარო სამსახურის ბიუროში, რომელიც შეეხო მუშაობის ყველა სფეროს გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინებით. მოცემული აუდიტი სრულდება და შედეგები მოგვიანებით გახდება ცნობილი. ეკატერინე ქარდავამ აღნიშნა, რომ ასევე დამამთავრებელ ეტაპზე არის გენდერზე საჯარო უწყებაში პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობის შესახებ მუშაობა და ყველა ასეთი პირის უფლება-მოვალეობები უნდა ადაპტირდეს ამ ერთიან მოდელზე დაყრდნობით. ასევე ისაუბრა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ დამოუკიდებელი კვლევის განხორციელების შესახებ, რომელიც ქალი მენეჯერების გამოწვევებს ეხება, ასევე ისეთ საკითხებს, თუ რატომ არიან კაცები მაღალ თანამდებობებზე მეტად წარმოდგენილნი და არა ქალები და სხვა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა **ხატია წილოსანმა** ისაუბრა სექსუალური შევიწროების მექანიზმის დანერგვის უდიდეს მნიშვნელობაზე, ასევე ამ კუთხით ცნობების ამაღლების საკითხზე, ვინაიდან უწყებებში, განსაკუთრებით მის უწყებაში, რომელშიც 10 000ზე მეტი მოხელე მუშაობს, გამოწვევები ბევრია და მექანიზმი ზოგადი სწორი გადაწყვეტილებების მიღებას ხელს შეუწყობს და აღმოფხვრილი იქნება ნებისმიერი დაფარული და ზეწოლის ქვეშ მიღებული გადაწყვეტილებები. შესაბამისად, ასევე მოხდება პრობლემათა იდენტიფიცირება. მან მზაობა გამოხატა მექანიზმის შემუშავებისა და დანერგვის საქმისადმი.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ქალბატონმა **თამარ საბედაშვილმა** ისაუბრა სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმის მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან ერთად ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგების ანალიზის მიხედვით, გაირკვა, რომ ქალთა 20 პროცენტს სექსუალრი შევიწროება განუცდია და ეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა მედიაში სექსუალური შევიწროების გახმაურებული შემთხვევები არ იყო საზოგადოებისთვის ცნობილი და არც საკანონმდებლო ჩარჩო არსებობდა. მან აღნიშნა, რომ 2016 წლიდან ცნობიერების ამაღლების კუთხით ელექტრონული კურსი შემუშავდა სახალხო დამცველთან ერთად, კურსი ახლახანს განახლდა და მასში აისახა მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები. იგი გაიარა 20 000-ზე მეტმა ადამიანმა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა **ლია გიგაურმა** ისაუბრა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, ასევე მისი უწყების საქმიანობაზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ბავშვობის ასაკში ქორწინების თაობაზე და აღნიშნა, რომ ადრეული ქორწინების პრობლემა რომელიმე ერთი ეთნიკური ჯგუფისთვის არ არის დამახასიათებელი. გამოკვეთა ქალების როლი მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ასევე შერიგების პროცესებში.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა, ბატონმა **გოგიტა თოდრაძემ** ისაუბრა რამდენიმე მნიშვნელოვან კვლევაზე. ერთ-ერთი მათგანია 2017 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად განხორციელებული კვლევა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ. მის რაოდენობრივ კომპონენტში მონაწილეობდა 6 ათასამდე ქალი და 1600 კაცი, თვისობრივი კვლევა კი ათეულობით ფოკუს ჯგუფისა და სიღრმისეული ინტერვიუს სახით განხორციელდა. კვლევა იძლევა ინფორმაციას ქალთა მიმართ ძალადობის მრავალი ასპექტის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ასევე შეიქმნა და განვითარდა გენდერული სტატისტიკის პორტალი. რომელზეც განთავსებულია სხვადასხვა უწყებების მიერ მოწოდებული შესაბამისი ინფორმაცია. მისი განმარტებით, მიმდინარე წელს იწყება ახალი კვლევა დროის გამოყენების შესახებ, რომელიც შესაძლებლობას მისცემს საზოგადოებას დაინახოს ქალებისა და კაცების დროის განაწილებისა და გამოყენების თავისებურებები. მან გამოხატა გულწრფელი მზადყოფნა, რათა უფრო მეტად განვითარდეს გენდერული სტატისტიკის მიმართულილება.

პრეზენტატორთა და გამომსვლელთა სიტყვის შემდეგ გახსნილად გამოცხადდა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო პარტნიორებმა და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. დისკუსია შეეხებოდა თავშესაფრის შემდგომი პროგრამების ეფექტიანობის უზრუნველყოფას, პანდემიისა და სხვა კრიზისული პირობების მომავალში გათვალისწინებას, სექსუალური შევიწროების მექანიზმის დანერგვის სირთულეებსა და ამ საკითხებზე დისტანციური მუშაობის თავისებურებებს.

სხდომის დასასრულს, **ლელა აქიაშვილმა** მადლობა გადაუხადა დამსწრებს თანამონაწილეობისთვის და გამოთქმული მოსაზრებებისთვის. მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული თანამშრომლობა განგრძობად, აქტიურ და ეფექტიან ხასიათს მიიღებს.

დანართი N1. დღის წესრიგი



გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

შეხვედრის თემა: ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება

3 ივნისი, 2020, 11:00 საათი

დღის წესრიგი

11:00 – 11:20	მისალმება ლელა აქიაშვილი , პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში, კომისიის თავმჯდომარე რატი ბრეგაძე , საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ლია გიგაური , შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე
11:20 – 11:30	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხედვა და გამოცდილება მაკა პეტრიაშვილი , საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
11:30 – 11:40	ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიშის პრეზენტაცია სოფიო რუსეცკი , საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
11:40 – 11:50	გამოცდილების გაზიარება თამარ ლობჯანიძე , გაეროს ქალთა ორგანიზაცია
11:50 – 12:30	დისკუსია